ქართული უნივერსიტეტები - საბაკალავრო საფეხურზე

საბაკალავრო საფეხურის პროგრამების და ჩარიცხვის ანალიზი
2025 წლის მისაღები გამოცდების მონაცემების მიხედვით

ანალიტიკური ბიულეტენი · 2026

CCIIR

ქართული უნივერსიტეტები - საბაკალავრო საფეხურზე საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისა და ჩარიცხვის ანალიზი 2025 წლის მისაღები გამოცდების მონაცემების მიხედვით

ბიულეტენი გამოიცემა ქართველი ხალხის შემოწირულობითა და მხარდაჭერით.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი აგრძელებს კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. თუ ჩვენი კვლევითი, ანალიტიკური და საგანმანათლებლო რესურსები მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, შეგიძლიათ შემოწირულობით გააძლიეროთ ჩვენი საქმიანობა. ნებისმიერი გამოხატული მხარდაჭერა ძვირფასია ჩვენთვის. ნებისმიერი ოდენობის შემოწირულობის გადმორიცხვა შესაძლებელია შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი: GE69BG0000000281111000

მიმღები: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ერონვებათშორისი ურთიერთობების ცენტრი.

31,704	68%	32%
ჩარიცხული სტუდენტი 2025 წელს	საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების განაწილება	კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების განაწილება

ძირითადი მიგნებები

ჩარიცხულ სტუდენტთა გადააწილება კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში

·2025 წლის მისაღები გამოცდების შედეგად საბაკალავრო და ქართული ენის ერთწლიან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თითქმის **70% საჯარო უნივერსიტეტებში** ირიცხება;

·2025 წლის მისაღები გამოცდების მონაცემები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებული ადგილების დაახლოებით **30% აუთვისებელი** დარჩა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა კერძო უნივერსიტეტებში, სადაც ადგილების 43% ვერ შეივსო, საჯარო უნივერსიტეტებში აუთვისებელი ადგილების წილი კი 20 %-ზე მეტს შეადგენს;

·საჯარო უნივერსიტეტები მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ ბალანსს ტერიტორიული გადანაწილების თვალსაზრისით, ხოლო კერძო უნივერსიტეტები თბილისშია კონცენტრირებული. კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების **97%-ზე** მეტი **თბილისში** არსებულ **კერძო** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხება, მაშინ როდესაც საჯარო უნივერსიტეტებში საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების **30%-მდე რეგიონულ** უნივერსიტეტებში სწავლობს. ეს მკაფიოდ აჩვენებს, რომ რეგიონებში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას რეალურად საჯარო სექტორი უზრუნველყოფს და საჯარო უნივერსიტეტებში მეტი დეკონცენტრაციაა.

·უნივერსიტეტებს გამოცხადებული ჰქონდათ საბაკალავრო და ქართული ენის ერთწლიანი მომზადების პროგრამაზე **44 959 ვაკანტურ** ადგილზე კონკურსი, თუმცა მხოლოდ **31 704 აბიტურიენტი** გახდა სტუდენტი, ხოლო **13 255** ადგილი **აუთვისებელი** დარჩა.

·არასპეციალიზირებულ მულტიპროფილურ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეუვსებელი ადგილების ჰქონდა ილიას უნივერსიტეტს (8%), დაბალი შეუვსებელი ადგილების რაოდენობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც (თსუ)- 11% და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი -12%.

·კერძო უნივერსიტეტებში შეუვსებელი ადგილების რაოდენობა მკვეთრად მაღალია. კერძო უნივერსიტეტებში გამოყოფილი ადგილების 43% შეუვსებელი დარჩა, რამაც რაოდენობრივი თვალსაზრისით 7717 ადგილს შეადგენს. კერძო უნივერსიტეტებიდან **100% შევსებ**ა ჰქონდა მხოლოდ თბილისის **თავისუფალ უნივერსიტეტს**, ადგილების რაოდენობა მაღალი პროცენტით შეავსეს ასევე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა (3 % შეუვსებელი ადგილები) და აგრარულმა უნივერსიტეტმა (5%). შეუვსებელი ადგილების მაღალი ხვედრითი წილით 10-მდე კერძო უნივერსიტეტი გამოირჩა (70%-ზე მეტი აუთვისებელი ადგილები).

·თბილისში არსებულმა მულტიპროფილურმა ოთხმა უნივერსიტეტმა (თსუ, ილია, სტუ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 2025 წლის მისაღები გამოცდების შედეგად მიიღო 14298 სტუდენტი (ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ჩათვლით), რომელთაგან **თსუ**-ს ხვედრითი წილი **42,7%**-ია, **ილიაუნი**სა - **26,8%**, **სტუ**-სი - **25%** და **სოხუმი**ს სახელმწიფო უნივერსიტეტისა - **5,5%**.

·სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა ჩარიცხულია ბიზნესის, მენეჯმენტის და ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაზე (23,27%), პოპულარული მიმართულებებია აგრეთვე სამართალი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები, ფსიქოლოგია.

10,892,025	7,190,325	3,701,700
გაცემული გრანტების საერთო მოცულობა	საჯარო უნივერსიტეტებზე გაცემული გრანტების საერთო მოცულობა	კერძო უნივერსიტეტებზე გაცემული გრანტების საერთო მოცულობა

რეგიონში არსებულ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვები

·რეგიონალურ საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების 40,5% ქუთაისის ორ საჯარო უნივერსიტეტში ირიცხება (32,5% - აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში და 8% - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში). თითქმის ასეთივე ხვედრითი წილი (39,2%) აქვს ბათუმის სამ საჯარო უნივერსიტეტს (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი - 28,0%; ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - 10,2 % და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი - 1%).

·რეგიონული უნივერსიტეტები ზუგდიდში, ახალციხეში/ახალქალაქში, თელავსა და გორში მულტიფუნქციური პროფილისა არიან და უზრუნველყოფენ კადრების მომზადებას. ყველაზე პოპულარული მიმართულებებია: ბიზნესის ადმინისტრირება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები და მასწავლებელთა განათლება. აგრარული მიმართულებები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი მიმართულებაა სტუდენტთა არჩევანში.

სტუდენტთა საგრანტო დაფინანსება

·გრანტით დაფინანსებული სტუდენტების საერთო რაოდენობა 2025-2026 აკადემიური წლის მისაღები გამოცდების შედეგად საბაკალავრო პროგრამებსა და ქართული ენის ერთწლიან პროგრამებზე შეადგენს **7315 გრანტირებულ** სტუდენტს.

·2025 წლის მისაღები გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების საერთო მოცულობა შეადგენს **10,892,025** ლარს.

·საჯარო უნივერსიტეტებზე მოდის **7,190,325** ლარი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებზე - **3,701,700** ლარი.
·გრანტირებულ სტუდენტთა 66% საჯარო უნივერსიტეტებში ირიცხება, ხოლო 34 % - კერძო უნივერსიტეტებში;
·ჩარიცხულ და გრანტირებულ სტუდენტთა შეფარდების თვალსაზრისით თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აბსოლუტური ლიდერია (91,5% გრანტირებული სტუდენტი ჩარიცხულთა საერთო რაოდენობიდან). მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - 72,8% და აგრარული უნივერსიტეტი - 69,6%.

·კერძო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ გრანტირებულ სტუდენტთა 60%-ზე მეტი შემდეგ სამ კერძო უნივერსიტეტზე ნაწილდება: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი.
·საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ გრანტირებულ სტუდენტთა 50% თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ირიცხება.

70%

საჯარო სექტორის უპირატესობა

ჩარიცხული სტუდენტების 70% საჯარო უნივერსიტეტს ირჩევს. ეს კონცენტრაცია განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება 2026 წლის ცვლილებების შემდგომ.

43%

კერძო უნივერსიტეტებში შეუვსებელი ადგილი

კერძო სექტორში 7 717 ადგილი ვერ შეივსო, ხოლო 10-მდე კერძო უნივერსიტეტში 70%-ზე მეტი ადგილი ვაკანტური დარჩა.

97%

კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები თბილისში

კერძო სექტორში ჩარიცხული 10 166 სტუდენტიდან მხოლოდ 304 ირიცხება თბილისის გარეთ. რეგიონულ ხელმისაწვდომობაში კრიტიკული ხარვეზია.

30%

საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტები რეგიონებში

საჯარო საბაკალავრო სტუდენტების 30%-მდე რეგიონულ უნივერსიტეტებში ირიცხება.

ჩარიცხულ სტუდენტთა გადანაწილება საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში

წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება 2025 წლის მისაღები გამოცდების მონაცემებს. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის საჯაროდ გამოქვეყნებული ბაზის დამუშავების შედეგად. 2025 წელს მისაღები გამოცდების შედეგად 31704 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი (ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა ჩათვლით).

31,704 სტუდენტი **საჯარო: 68.3% (21,566)** **კერძო: 31.7% (10,138)**

საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში პროპორციული გადანაწილება შემდეგია: 31.7% კერძო უნივერსიტეტებში, ხოლო 68.3% საჯარო უნივერსიტეტებში. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებს გამოცხადებული ჰქონდათ საბაკალავრო და ქართული ენის ერთწლიანი მომზადების პროგრამაზე 44,959 ვაკანტურ ადგილზე კონკურსი, თუმცა მხოლოდ 31,704 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო 13,255 ადგილი აუთვისებელი დარჩა.

ადგილების რაოდენობა ნაკლებად დარჩა აუთვისებელი საჯარო უნივერსიტეტებში — 20.45% ადგილების აუთვისებელი დარჩა, ხოლო 79.55% შეივსო. არასპეციალიზებულ მულტიპროფილურ უნივერსიტეტებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეუვსებელი ადგილების სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჰქონდა ილიას უნივერსიტეტს (8%), რომელსაც მოსდევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (11%) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (12%). მთლიანობაში საჯარო უნივერსიტეტებში შეუვსებელი ადგილების რაოდენობამ 5,538 ადგილი შეადგინა ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის ჩათვლით.

მაღალი შეუვსებელი ადგილების ხვედრითი წილით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი (60.9%), თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი (50.9%) და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (44%).

კერძო უნივერსიტეტებში შეუვსებელი ადგილების რაოდენობა მკვეთრად მაღალია. კერძო უნივერსიტეტებში გამოყოფილი ადგილების 43% შეუვსებელი დარჩა, რაც, რაოდენობრივი თვალსაზრისით, 7,717 ადგილს შეადგენს. კერძო უნივერსიტეტებიდან 100%-იანი შევსება ჰქონდა მხოლოდ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს. ადგილების მაღალი პროცენტით შეავსეს ასევე ბიზნესისა და ტექნოლოგიების (3% შეუვსებელი) და აგრარულმა უნივერსიტეტმა (5%). შეუვსებელი ადგილების მაღალი ხვედრითი წილით 10-მდე კერძო უნივერსიტეტი გამოირჩა — 70%-ზე მეტი აუთვისებელი ადგილი.

შესაბამისად, როგორც საჯარო ასევე კერძო უნივერსიტეტებში არსებობს აუთვისებელი ადგილების რაოდენობა, რაც გავლენას მოახდენს ცვლილებების პირობებში გარკვეულ პროგრამებსა თუ საჯარო უნივერსიტეტებში მიღებაზე.

საჯარო უნივერსიტეტები

20%

ადგილების 20.45% შეუვსებელი დარჩა — **5 538 ადგილი**. ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ილიაუნს (8%), შემდეგ — თსუ (11%), სტუ (12%).

კერძო უნივერსიტეტები

43%

ადგილების 43% შეუვსებელი დარჩა — **7 717 ადგილი**. მხოლოდ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს ჰქონდა 100%-იანი შევსება.

შეუვსებელი ადგილების ხვედრითი წილი — შერჩეული საჯარო უნივერსიტეტები

2025 წლის მისაღები გამოცდების მონაცემები



თბილისის 4 მულტიპროფილური საჯარო უნივერსიტეტი

4 უნივერსიტეტმა ერთად მიიღო **14 298 სტუდენტი** — 2025 წლის ჩარიცხვების ყველაზე მძლავრი ბლოკი.



გეოგრაფიული გადანაწილება

კერძო უნივერსიტეტები პრაქტიკულად მხოლოდ თბილისის ფენომენია. 10,166 სტუდენტიდან, რომელიც კერძო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მხოლოდ 304 სტუდენტი ჩაირიცხა რეგიონულ კერძო უნივერსიტეტში (3%-ზე ნაკლები), ხოლო 97%-ზე მეტი თბილისის უნივერსიტეტებში გადანაწილდა. ეს მკაფიოდ აჩვენებს, რომ რეგიონებში უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას რეალურად საჯარო სექტორი უზრუნველყოფს.

თბილისი (კერძო)

97%

კერძო სტუდ. — 10 166-დან 9 862 თბილისში

ქუთაისი

40.5%

რეგიონის სტუდენტების უმეტესი ნაწილი— ორ უნივერსიტეტში (ასწუ და KIU)

ბათუმი

39.2%

რეგიონიში გადანაწილებული სტუდენტები — სამ უნივერსიტეტში (ბსუ, ბსმა, BAU)

გორი, ზუგდიდი

~10%

რეგიონში გადანაწილებული სხვა სტუდენტები — 4 უნივერსიტეტზე

სამცხე-ჯავახეთი

~5%

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 60.9% შეუვსებელი ადგილი

თელავი

~4.5%

50.9% შეუვსებელი ადგილი — კრიტიკული სიტუაცია

საჯარო სექტორის გეოგრაფიული ბალანსი

განსხვავებული სურათია საჯარო უნივერსიტეტებში. საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხული 21538 სტუდენტიდან 5829 რეგიონალური უნივერსიტეტებზე მოდის. თუკი მხოლოდ საბაკალავრო საფეხურს განვიხილავთ (ანუ გამოვაკლებთ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის მონაცემებს, სადაც სტუდენტთა კონცენტრაცია თბილისზეა გეოგრაფიული განსახლების გამო), მივიღებთ სურათს, რომ 20 002 საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტიდან 5662 რეგიონალურ საჯარო უნივერსიტეტებზე მოდის, რაც საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების 28,3%-ს შეადგენს, ხოლო თბილისში არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტებში 71,7% სწავლობს.

ამ მონაცემებიდან თვალნათელია, რომ რეგიონალურ კონცენტრაციის თვალსაზრისით უფრო პრობლემურია კერძო უნივერსიტეტების თბილისში კონცენტრაცია, რაც შეეხება საჯარო უნივერსიტეტებს, საჯარო უნივერსიტეტებში საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა 30%-მდე რეგიონალურ უნივერსიტეტებში ირიცხება.

კერძო უნივერსიტეტები

97%

თბილისში

304 სტუდენტი თბილისის გარეთ (3%)

საჯარო უნივერსიტეტები

28.3%

რეგიონებში

5,662 სტუდენტი რეგიონულ საჯარო უნივერსიტეტში

რეგიონალურ უნივერსიტეტებში სტუდენტების გადანაწილება 2025 წლის ჩარიცხვების მიხედვით



რეგიონალურ უნივერსიტეტებში გადანაწილების თვალსაზრისით ორი მსხვილი რეგიონალური ცენტრი იკვეთება ქუთაისისა და ბათუმის სახით. რეგიონალურ უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტთა გადანაწილებას რეგიონებს შორის შემდეგი სურათი იკვეთება:

რეგიონალურ საჯარო უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების 40,5% ქუთაისის ორ საჯარო უნივერსიტეტში ირიცხება (32,5% აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში და 8% ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში), ხოლო 39,2 % ბათუმის სამ საჯარო უნივერსიტეტში (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი -28,0%; ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია- 10,2 % და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი-1%). რეგიონალურ უნივერსიტეტებში ჩარიცხული სტუდენტების დარჩენილი 20%-ზე ნაკლები ნაწილდება გორის, სამცხე-ჯავახეთის, თელავისა და ზუგდიდის უნივერსიტეტებზე.

თბილისში არსებულმა მულტიპროფილურმა ოთხმა უნივერსიტეტმა (თსუ, ილია, სტუ, სოხუმის უნივერსიტეტი) 2025 წლის მისაღები გამოცდების შედეგად მიიღო 14298 სტუდენტი, რომელთაგან თსუ-ს ხვედრითი წილი 42,7 %-ია, ილიაუნისა - 26,8%, სტუ-სი - 25% და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა - 5,5%. ყველაზე დიდი რაოდენობა სტუდენტების ჩარიცხულია ბიზნესის, მენეჯმენტის და ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებებზე (23,27%),

თბილისის 4 მულტიპროფილური საჯარო უნივერსიტეტი

4 უნივერსიტეტმა ერთად მიიღო **14 298 სტუდენტი** — 2025 წლის ჩარიცხვების ყველაზე მძლავრი ბლოკი.



პოპულარული სასწავლო მიმართულებები

სტუდენტთა არჩევანი თბილისში — ჩარიცხვის მიხედვით, ყველა 4 მულტიპროფილურ უნივერსიტეტში



აგრარული მიმართულება კრიტიკულად დაუფასებელია რეგიონალურ უნივერსიტეტებში.

რეგიონალური უნივერსიტეტებიც სტუდენტებს იღებენ სხვადასხვა პროგრამებზე და მათი პროგრამული შეთავაზება მრავალფეროვანია და მოიცავს მიმართულებების ფართო სპექტრს. ყველაზე პოპულარული მიმართულებებია ბიზნესის ადმინისტრირება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები და მასწავლებელთა განათლება. აგრარული მიმართულებები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილი მიმართულებაა სტუდენტების არჩევანში.

უნივერსიტეტების შიგნით არსებული გადანაწილებაც მიუყვება საერთო ტენდენციებს, თუმცა გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლები მაინც თვალსაჩინოა. ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის პროგრამა პოპულარულია აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში. სამართალმცოდნეობა უფრო მეტად პოპულარულია გორისა და თელავის უნივერსიტეტებში, ხოლო პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების მიმართულება სამცხე -ჯავახეთის და ზუგდიდი უნივერსიტეტებში. განათლების მიმართულებას მაღალი ხვედრითი წილი აქვს აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთისა და ზუგდიდის უნივერსიტეტებში.

ძირითადი ტენდენცია რეგიონებში

აწსუ	ბსუ	გსუ	თესაუ	სჯსუ	ზსუ
ბიზნესი/ ეკონ./მენეჯ./ ტურიზმი	ბიზნესი/ ეკონ./მენეჯ./ ტურიზმი	სამართალი	სამართალი	სოც. პოლიტ.	სოც. პოლიტ.

გრანტირებული სტუდენტების განაწილების ანალიზი (2025-2026)

7315	10,892,025	7,190,325	3,701,700
გრანტირებული სტუდენტი	სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტის რაოდენობა სრულად ლარში	საჯარო უნივერსიტეტებში განაწილებული გრანტი	კერძო უნივერსიტეტებში განაწილებული გრანტი

ძირითადი მიგნებები

·გრანტით დაფინანსებული სტუდენტების საერთო რაოდენობა 2025-2026 აკადემიური წლის მისაღები გამოცდების შედეგად საბაკალავრო პროგრამებსა და ქართული ენის ერთწლიან პროგრამებზე შეადგენს **7315-ს** გრანტირებულ სტუდენტს.
·2025 წლის მისაღები გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთათვის სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტების საერთო მოცულობა შეადგენს **10,892,025** ლარს.
·საჯარო უნივერსიტეტებზე მოდის **7,190,325** ლარი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებზე **3,701,700** ლარი.
·**50%-იანი გრანტები ყველაზე ფართოდ გავრცელებული კატეგორიაა.**
·**TOP 10** უნივერსიტეტზე მოდის გრანტების დაახლოებით **85%**-მდე.

კერძო უნივერსიტეტები

34%

3,701,700 ლარი

საჯარო უნივერსიტეტები

66%

7,190,325 ლარი

გრანტების ტიპების გადანაწილება

საჯარო უნივერსიტეტები

50% -2549

70% - 866

100% - 1315

კერძო უნივერსიტეტები

50% -1525

70% - 591

100% - 469

TOP 10 უნივერსიტეტი გრანტების მოცულობით

უნივერსიტეტი	50%	70%	100%	სულ
თბილისის სახ. უნივ. (თსუ) — საჯარო	1,222	479	624	**2,325**
ილიას სახ. უნივ. (ილია) — საჯარო	371	73	231	**675**
ბიზნესისა და ტექ. უნივ. (BTU) — კერძო	500	113	35	**648**
თბ. თავისუფალი უნივ. (FreeUni) — კერძო	112	177	285	**574**
კავკასიის უნივ. — კერძო	315	101	64	**480**
საქ. ტექ. უნივ. (სტუ) — საჯარო	260	63	145	**468**
თბ. სახ. სამედ. უნივ. — საჯარო	136	85	170	**391**
ქუთაისის საერთ. უნივ. — საჯარო	147	69	37	**253**
საქ. აგრარული უნივ. — კერძო/ა(ა)იპ	107	81	30	**218**
აკაკი წერეთლის სახ. უნივ. — საჯარო	118	20	13	**151**

87% საჯარო უნივერსიტეტების გრანტების 5 კერძო უნივერსიტეტზე ნაწილდება

84% კერძო უნივერსიტეტების გრანტების 5 კერძო უნივერსიტეტზე ნაწილდება

კერძო უნივერსიტეტები — გრანტების განაწილება

კერძო უნივერსიტეტი	50%	70%	100%	სულ
ბიზნესისა და ტექ. უნივ (BTU)	500	113	35	**648**
კავკასიის უნივერსიტეტი	315	101	64	**480**
თბ. თავისუფალი უნივ	112	177	285	**574**
საქ. აგრარული უნივ.	107	81	30	**218**
შავი ზღვის საერთ. უნივ.	108	19	11	**138**
საქართველოს უნივ.	80	24	14	**118**

საჯარო უნივერსიტეტები — გრანტების განაწილება

საჯარო უნივერსიტეტი	50%	70%	100%	სულ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	1,222	479	624	**2,325**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	371	73	231	**675**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი(სტუ)	260	63	145	**468**
თბილისის სახელმწ. სამედიცინო უნივერსიტეტი	136	85	170	**391**
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU)	147	69	37	**253**

ჩარიცხულთა გრანტირების კოეფიციენტი

გრანტირებული სტუდენტების წილი ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასთან

	ჩარიცხული	გრანტირებული	გრანტ.%
საჯარო უნივერსიტეტები			
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)	6,115	2,325	**38%**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)	3,829	675	**17,60%**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი(სტუ)	3,576	468	**13.1%**
თბილისის სახელმწ. სამედიცინო უნივერსიტეტი	537	391	**72.8%**
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (KIU)	468	253	**54%**
კერძო უნივერსიტეტები			
ბიზნესისა და ტექ. უნივ (BTU)	1,812	648	**35.8%**
კავკასიის უნივერსიტეტი	1,495	480	**32.1%**
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	627	574	**91.5%**
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	681	138	**20.3%**
საქ. აგრარული უნივერსიტეტი	313	218	**69.6%**
საქართველოს უნივერსიტეტი	630	118	**18.7%**

საჯარო უნივერსიტეტების გრანტების **87%** განაწილებულია 5 უნივერსიტეტზე: **50% თსუ**-ზე მოდის.

მნიშვნელოვანია ჩარიცხულ და გრანტირებულ სტუდენტთა შეფარდების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა: **თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი** აბსოლუტური ლიდერია - **91,5%** გრანტირებული სტუდენტი ჩარიცხულთა საერთო რაოდენობიდან.

მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 72,8** და **აგრარული უნივერსიტეტი 69,6%**

საკვანძო თემები

უმაღლესი განათლება | ჩარიცხვის სტატისტიკა | საჯარო/კერძო განათლება | რეგიონული ხელმისაწვდომობა | სასწავლო პროგრამები | 2026 წლის პოლიტიკა | საგანმანათლებლო სისტემა

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი
CCIIR

2026